პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს ს. ჯ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოების ორგანი

KOMUNISTI

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

პარასკევი, 26 მარტი, 1948 წ. № 62 (8106). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის —მოწინავე (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1948 წლის 25 მარტის სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოუვიდა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ მ. პეკალასთან (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სპეციალური სესიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. გ. ბიბინეიშვილის სიტყვა (2-ე გვერდი).

კომპარტიის საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების ინტერესები, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანები მოითხოვენ მეცნიერებას ღრმად დაეფუძნებულ კადრებს, ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლებათ წარმატებით გაუძღვნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს, წინ წასწიონ სოციალისტური მრეწველობა, სოციალ მეურნეობა, კულტურა, მეცნიერება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც ახალ კადრებს სამკვლოს წარმოადგენენ, საშრობლოს აღუზარდეს ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ისინი წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე. ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა ასრულებს კომუნიზმის შენებლობის დიად სტალინურ პროგრამას, საშრობლოს ესაჭიროება კიდევ მეტი მაღალკვალიფიციური კადრები, ვიდრე აქამდე.

კადრების ყოველსმძლე მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება, სოციალისტური სახელმწიფოს განათლებულ და კულტურულ მშენებლად აღზრდა — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-პედაგოგთა, მათ პარტიული და კომკავშირულიორგანიზაციების პირველხარისხოვანი ამოცანაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალისტური საშრობლო უმაღლესი სასწავლებლისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ვიწრო სპეციალობის დაუფლებულ ადამიანებს, თავიანთ საქმეში ჩაქცეულ სპეციალისტებს, არამედ კადრებს, რომლებმაც საფუძვლიანად იციან მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. მხოლოდ ამ მეცნიერების ცოდნა ეხმარება კადრებს ღრმად გაერკვნენ მოვლენებში, შეიძლებაში არ დაეშვან თავიანთ მოღვაწეობაში.

„საუნივერსიტეტო არ არის, რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს ფილოსოფოსად არ ვიხსენებდეთ. მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის,—ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების, კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“, — ეს გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. მაგრამ დღეისათვის ჯერ ბოლომდე არ დაძლეულა ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

ცალკეული სასწავლებლების ხელმძღვანელობა ზოგჯერ ვერ ახერხებს სათანადო ყურადღება მიაქციოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ვერ ახდენს მათ სტიმულირებას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების საქმეში. ზოგიერთ სასწავლებელში ფაქტიურად არ ტარდება ლექციათა და სემინარიათა დასწრების სისტემატური შემოწმება, ხშირად ადგილი აქვს ლექციების ჩაშლას, ლექციებზე დასწრების ორგანიზაციის სუსტ დაყენებას. ზოგიერთ სასწავლებელში ცუდად არის ორგანიზებული სტუდენტების მიერ ლიტერატურის გაცნობა, ბიბლიოთეკებში ხშირად არ არის საკმარისი რაოდენობით ის ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია სტუდენტების მიერ სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საკითხების ღრმად შესასწავლად.

ცალკეული სასწავლებლების ხელმძღვანელობა ხშირად ვერ ახერხებს სწორად გადაჭრას ისეთი საკითხებისა, როგორიცაა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საკითხები, სასწავლო დისციპლინის დაცვის საკითხები, სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრების საკითხები. ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ სასწავლებელში ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს სათანადო ყურადღება მიაქციოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სტუდენტების ფიზიკური აღზრდა, სპორტული მუშაობა, სტუდენტების ბინით უზრუნველყოფა, მათი კვება და ა. შ.

ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ სასწავლებელში ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს სათანადო ყურადღება მიაქციოს პროფესორ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკურ და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ისიც, რომ არადამაკმაყოფილებელია სტუდენტთა მოსწრება მარქსისტულ-ლენინის საფუძვლებში. ზაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე 67 ამხანაგიდან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში სახელმწიფო გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 10-მა, ეკონომიკის ფაკულტეტზე 76-დან — 23-მა კაცმა. კათედრების სხდომებზე არასამაკმაყოფილო ხდება საკითხი კ. ჯ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აღიარებული ფილოსოფიის საკითხების შესახებ მიღებული დადგენილებათა განხილვა, არ სახეზე ამ დადგენილებებიდან გამომდინარე ღონისძიებების, სამეცნიერო თემების შერჩევის დროს ნაკლები ყურადღება ექცევა მათ აქტუალობას. პარტიულ კომიტეტთან შექმნილი ლექტორიუმის თემატიკაში საკმაო რაოდენობით არ არის გათვალისწინებული მარქსიტულ-ლენინური თეორიისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხები. არ ხდება ლექციათ-მოხსენებათა წინასწარი განხილვა, არადამაკმაყოფილებელია ლექციების დასწრება. უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციას საფაკულტეტო კრებებსა და პარტკომის სხდომებზე ხალხმრავლ გამომაქვს განსახილველად იდეოლოგიური მუშაობის ცალკეული საკითხები. ნაკლოვანებანი აქვს იდეოლოგიური მუშაობის დარგში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს. აქ სამეცნიერო საბჭოს ზოგიერთი წევრი და მეცნიერი მუშაკები აქტიურად არ მონაწილეობენ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, სუსტრებიან მხოლოდ სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული ლექციების წაკითხვას.

უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. საჭიროა მოვაშენოთ ომს, რომ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, სტუდენტები შეუნელებლად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ღრმად ეჩვეოდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონებში, ჩვენი პრობლემსა და ხრომის პერსპექტივებში.

საჭიროა მოვაშენოთ საბჭოთა პატრიოტიზმის იდეის შეუნელებელი პრობაგანდა, სოციალისტური სახელმწიფოს შენებელთა კადრები აღეზრდოთ საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. უმაღლესი სასწავლებლებს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა ეწეოდნენ განმარტებას საბჭოთა წყობილების უპირატესობისას კაპიტალისტური წყობილების წინაშე, საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების უპირატესობას ბურჟუაზიული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. საჭიროა ზშირად მოეწყოს ლექციები, მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე, დაუღალავად განვმარტოთ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე საკავშირო კ. ჯ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ღრმა აზრი და მნიშვნელობა.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედმოხრის ყოველგვარ გამოვლინებას, ჩავნერგოთ კადრებს ღრმა სიყვარულისა და სიამაყის გრძნობა მშობლიური კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი.

უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყოველდღიურად ზრუნვა დაიზპარება კადრებს არ ჩაიკეტონ თავიანთი სპეციალობის ვიწრო ნაკუთვნში, თავიდან აიცილებს მათ შეცდომებს, განაშტკიცებს ჩვენი სამრეწველო საქმეში წმენდას, დაეხმარება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეკუზას კ. გ. ჯინჭინაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლეს საბჭოს მესამე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოტანილი რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტი განიხილა უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ და დამავალა მოგახსენოთ თავისი დასკვნა ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტის მოცულობა, რომელიც მიღებულია მინისტრთა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია დასამტკიცებლად, უდრის საშემოსავლო ნაწილში 2.338.460 ათას მანეთს და გასავალში 2.336.582 ათას მანეთს, ანუ 1947 წლის ბიუჯეტთან შედარებით ზრდა უდრის 8,2 პროცენტს.

რესპუბლიკის ბიუჯეტის მთავარ საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს სოციალისტური მეურნეობის შემოსავალი. ეს დამაბასიათებელია ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 1948 წელს მიიღებს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების სახით 1.034.721 ათას მანეთს. სახალხო მეურნეობის დარგების მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 323.720 ათასი მანეთი, 1947 წლისათვის დამტკიცებული 183.944 ათასი მანეთის ნაცვლად. ამრიგად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 58,0 პროცენტს შეადგენს შემოსავალი ბრუნვის გადასახადისა და სახალხო მეურნეობის დარგების მოგების ანარიცხებისაგან, რაც საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს.

მომდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის თანვალისწინებს 556.052 ათას მანეთს. აქედან რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაზე დაიხარჯება 170.260 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე — 167.872 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობასა და კინოფილმოწყობაზე—112.122 ათასი მანეთი.

ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებებზე დაიხარჯოს 1.579.291 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 67,6 პროცენტი. აქედან: განათლებაზე — 1.005.867 ათასი მანეთი, შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე — 415.050 ათასი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფაზე — 146.238 ათასი მანეთი. ამრიგად, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1948 წელს დაიხარჯება 115.164 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე დაიხარჯა 1947 წელს.

რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გათვალისწინებული ზრდა წარმოდგენს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური წყობილების იმ ურყევი ძალის, რომელმაც საშუალება მოგვცა მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო ომის დამთავრების სულ რაღაც ორ წელიწადნახევარში შემდეგ დავეყენებინა ასეთი გრანდიოზული ბრძოლა განმეორებისა და მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ბიუჯეტის პროექტი თვალსაჩინოდ ასახავს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობას ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტების საგრძნობი ზრდა.

მიძღინარე წლიდან რესპუბლიკის ბიუჯეტს ერთი ახალი ბიუჯეტი დაემატა—სოციალისტური ქალაქის—რუსთავის ბიუჯეტი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელმა 1947 წელი, ომის შემდგომი პერიოდის ტრადიციული ხუთწლედის მეორე წელი, თვალსაჩინო წარმატებებით დამთავრეს.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1947 წლის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, 1946 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 29,1 პროცენტით. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში წლიური გეგმა შესრულებულია 103,8 პროცენტით და 1946 წელთან შედარებით საერთო პროდუქცია გადიდდა 38,2 პროცენტით; საკავშირორესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა 1947 წლის გეგმა შესრულებულია 115,1 პროცენტით, 1946 წელთან შედარებით საერთო პროდუქცია გადიდდა 23,1 პროცენტით. 1947 წელს ყველა სამეურნეო სამინისტრომ წარმატებით შეასრულა გეგმა. მრავალმა საწარმომ პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად გაუმჯობესა მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. წარმოების სწორი ორგანიზაციის შედეგად ბევრმა მიღწეულია თვითღირებულების შემცირება, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და ა.შ. მიძღინარე წლის იანვარსა და თებერვალში რესპუბლიკის საწარმოებმა ყველა მაჩვენებლებს მიაღწიეს როგორც საწაროო გეგმების შესრულების, ისე გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი საწარმოები, რომელნიც არ ასრულებენ სახელმწიფო დავალებას, არ აქცევენ საჭირო ყურადღებას ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას და, რაც მთავარია, ნაკლებად ზრუნავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უფრო მეტიც. ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი დღემდე ითმენს უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევებს.

ცნობილია ამასა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ 1947 წლის საწარმოო გეგმა საერთო-სახალხოებით შეასრულა, მაგ ვერ უზრუნველჰყო ისეთი მეტად საჭირო საშენი მასალის გამოშვების გეგმის შესრულება, როგორიც არის ალეთი და კრამიტი. ალეთის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 82,2 პროცენტით, კრამიტისა კი მხოლოდ 38 პროცენტით. სატყეო მრეწველობის სამინისტროს ასანთის ფაბრიკებს ასანთის გამოშვების გეგმა 87,9 პროცენტით შეასრულა. ამავე სამინისტროს სპასალთო მერქნის გამოზიდვის გეგმა შეასრულა მხოლოდ 81,4 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მაშინ საკმისოდ ვერ გაიყვანეს ბრუნვის გადასახადი და საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მიუხედავად ამისა, ამ სამინისტროს მრავალი საწარმო ჯერ კიდევ უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელსაც ჩვენი მომხმარებელი არ ყიდულობს. უფრო ცუდი მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის მხრივ სარეზინო კოოპერაციის არტელებში.

სწორედ ამის შედეგია, რომ საქონლის ნაშთები დიდი რაოდენობით არის დაგროვილი როგორც გასაღების ბაზებში, ისე საბაჭო ორგანიზაციებში. ეს ეხება სრულიად სამეურნეო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეკუთვნ გ. ა. გოჩაშვილის სიტყვა

(თბილისი, ბარათაშვილის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი ხელმძღვანელობით მეოთხე მეოთხე ტალინური ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში შეასრულა.

ჩვენ ამ პერიოდის მნიშვნელოვან დიდი ისტორიული მნიშვნელობით გამოვხმაურნენ ლენინგრადელთა მოწოდებას და თავდადებულად იბრძოდნენ საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. თბილისის როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დავალებების შესრულებამ 1947 წლის განმავლობაში ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში 104,8 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოქმედი თბილისის ქარხნები შორის. საერთო პროდუქციის გამოშვების 1947 წლის განმავლობაში 110 პროცენტით შეასრულა. ქალაქის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობამ განმავლობაში 124,1 პროცენტით გაიზარდა, სარეწაო კოოპერაციამ — 120,5 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციამ — 132,1 პროცენტით.

წარმატებით შესრულდა ქალაქის მეურნეობის როგორც საშემოსავლო, ისე საგასაცემო ნაწილები.

1947 წელს თბილისში გაჩაღებული იყო მუშაობა ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. ამ საქმეს მოხმარდა სულ 97.273 ათასი მანეთი, რაც 21,6 პროცენტით აღემატება 1946 წლის დახარჯებებს. 1947 წელს აგებულ იქნა 27 ახალი სატრანსფორმატორო ქიოსკი, გაუმაღლებისდა და ძირითადად დაგვთება 23 სატრანსფორმატორო ქიოსკი. ჩაწყობილია 7 ელექტრომავლის ხაზი. შეცვლილია 1.500 მეტრი ძველი კაბელი. სამაერო ქსელი გახდილია 2.700 მეტრით. გაკეთებულია წყალსადენის ახალი ქსელი 5,2 კილომეტრ მანძილზე. სამის ქუჩაზე დაიწყო ნიადაგქვაბტრის კოლექტორის მშენებლობა. კოლექტორი უკვე გაყეთებულია 220 მეტრზე. ამჟამად ამ ობიექტზე მუშაობა წარმატებით გრძელდება.

გაცხოველებულ მუშაობა მიმდინარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაზე. 1947 წელს სანაპიროს ფილეთო 2 მილიონი მანეთი, ფაქტიურად ათვისებულ იქნა 2.927 ათასი მანეთი, შესრულებულია 13.165 კუბმეტრი ბეტონის სამუშაოები და აგებულია 550 მეტრი საყრდენი კედელი. ვარშავა ქალაქში მოასფალტებულ იქნა 94.000 კვადრატული მეტრი ქუჩები, აქედან მთლიანად მოთავებულია სამუშაოები კლარა ცეტკინის, ნინოშვილის, მერკვილაძის, კიევის ქუჩებზე. დაგებულია 108 ათასი კვადრატული მეტრი ტროტუარი. ცუდი ფილების მოგებულია 12.000 კვადრატული მეტრი ქუჩები.

კაპიტალურად შეკეთდა 17 კილომეტრი ტრამვაის ხაზები, შეცვლილია 10 ათასი ცალი შპალი და 48 კილომეტრი სამპირი ქსელი.

1947 წელს მარჯანიშვილის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში დამთავრდა 61-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, გძელდება მშენებლობა 52-ბინიანი საცხოვრებელი სახლის სამხრეთ ქუჩაზე, დაიწყო ორი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მარის ქუჩაზე და მარჯანიშვილისა და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში.

გაიშენებების ხაზით 1947 წელს დიდი სამუშაოები ჩატარდა. ქალაქში დარგულია 141.000 ძირი ხე და ბუჩქი, რაზედაც 3.013 ათასი მანეთი დაიხარჯა.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვაზე შარშან დაიხარჯა 82.742 ათასი მანეთი. ტუბერკულოზით დაავადებულთათვის გახსნილია ახალი 100-საწოლიანი საავადმყოფო. კაპიტალურად შეკეთდა სამი საავადმყოფოს შენობა, სამი პოლკლინიკა და სხვა.

სახალხო განათლებაზე შარშან 73.296 ათასი მანეთი დაიხარჯა. გაიხსნა 7 ახალი სკოლა და 5 სამაგდო ბაღი. საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 4.282 მოწაფით. სკოლებისა და სამსახეო ბაღების შენობათა დიდი ნაწილი კაპიტალურად შეკეთდა და ახალი ინვენტარით შეივსო. სულ 38 ლონისძიებაზე დაიხარჯა 7.108 ათასი მანეთი.

ფიზკულტურულ ღონისძიებებზე 1947 წელს დაიხარჯა 4.400 ათასი მანეთი.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხაზით, ქალაქის პარკების კეთილმოწყობაზე, ქალაქის ბიბლიოთეკების შენობათა რემონტზე, ინვენტარით შეკაზმვაზე და ახალი ლიტერატურის შეძენაზე 2.598 ათასი მანეთი.

თბილისის საბჭოს აღმასკომმა საცხოვრებელი სახლების კაპიტალური შეკეთების 1947 წლის გეგმა 102,6 პროცენტით შეასრულა. კაპიტალურად შეკეთებულია 189 სახლი. გარდა ამისა, დაიწყო 50 საცხოვრებელი სახლის შეკეთება, რაც წელს დამთავრდება.

ქალაქის საბჭოს აღმასკომი ყურ ადევნებს არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სანიაო მშენებლობის ხაზით. ხუთწლიანი გეგმით ქალაქის საბჭოს აღმასკომმა უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სულ მცირე 25 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით. 1946 და 1947 წლებში აშენებულია მხოლოდ 3 საცხოვრებელი სახლი 3.632 კვადრატული მეტრი ფართობით. ტრესტი „თბილმშენი“ სისტემატურად არ ასრულებს სანიაო მშენებლობის გეგმას. 1947 წელს მას საბჭოს ქ. № 210 სახლის მშენებლობაზე უნდა აეთვისებინა 1.500 ათასი მანეთი, ათთვისა მხოლოდ 723 ათასი მანეთი; მარჯანიშვილის ქუჩისა და პლეხანოვის ქუჩის კუთხის სახლის მშენებლობაზე უნდა აეთვისებინა 910 ათასი მანეთი, ათთვისა 420 ათასი მანეთი.

თბილისის საბჭოს აღმასკომიან ერთად ფართოდ უნდა გაიაღოს სანიაო მშენებლობა ცაცკუელმა სამინისტროებმა და უწყებებმა, მაგრამ განვლილი ორი წლის განმავლობაში ისინი ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ამის შედეგია, რომ სანიაო მშენებლობის 1946 წლის გეგმა მთ მხოლოდ 37,9 პროცენტით შეასრულეს, 1947 წლის გეგმა კი—58,8 პროცენტით. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა მთასნაოგის ქუჩაზე აშენებს საცხოვრებელ სახლს. მშენებლობა დაწყებულია 1940 წელს. ამ სახლის მშენებლობისათვის 1947 წელს განკუთვნილი იყო 320 ათასი მანეთი, საიდანაც ათ წლიანი მხოლოდ 125 ათასი მანეთისა. საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს 1947 წლისათვის სანიაო მშენებლობაზე გათვალისწინებული ჰქონდა 540 ათასი მანეთი. აქედან ათთვისა მხოლოდ 103 ათასი მანეთი. ასეთსავე მდგომარეობაშია სანიაო მშენებლობის გეგმების შესრულება სოციალური უზრუნველყოფისა და აგვილობრივი მრეწველობის სამინისტროთა ხაზით.

1948 წლისათვის თბილისის ბიუჯეტი თვითმოქმედების ქალაქის მეურნეობის შემდგომ ზრდას და უზრუნველყოფს ყველა მისი დარგის განვითარებას.

წელს ბიუჯეტით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები გათვალისწინებულია 89 მილიონზე მაღეთის რაოდენობით, შარშანდელთან შედარებით ზრდა ფერის 6,3 მილიონ მანეთს. სახალხო განათლების ხაზით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 79,6 მილიონი მანეთი, ანუ შარშანდელზე 6,4 მილიონი მანეთით მეტი. საგრძნობლად გაზრდილია ასრეთვე ხარჯები სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზკულტურის ხაზით.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების, ქუჩებისა და ტროტუარების რემონტისათვის, ქალაქის გამწვანებისათვის, სავარუნებო ჯეროორების კეთილმოწყობისათვის და სხვ. შენდება 3 საცხოვრებელი სახლი 5.978 კვადრატული მეტრი ფართობით. უნდა აიგოს ორი სასკოლო შენობა სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონებში. წყალსადენის ქსელი 5 კილომეტრით გაფართოვდება, კანალიზაციის ქსელი — 3 კილომეტრით. ტროტუარები 12 კილომეტრის მანძილზე აშენდება 3 სატრანსფორმატორო ქიოსკი და 12 კილომეტრის მანძილზე ჩაიწყობა ახალი მიწისქვეშა კაბელი. საბჭოს ქუჩაზე ლვარაძეტარი კოლექტორის მშენებლობაზე წელს გათვალისწინებულია დაიხარჯოს 1 მილიონზე მანეთი და სანაპირო ქუჩის მშენებლობაზე—3 მილიონ მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტით გათვალისწინებული დიდი თანხები ქალაქის კეთილმოწყობისათვის, სანიაო მშენებლობისათვის, სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის ერთხელ კიდევ დასტურებენ ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად. წინადადება შემოჰქონდა დაბეჭდეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიუჯეტის კომისიის შესწორებები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ დაბმარებასა და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გვიწევენ ქალაქის კეთილმოწყობისა და სხვა მეურნეობის განვითარების საქმეში. ამიტომ სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ 1948 წლის ბიუჯეტი და გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ქალაქ თბილისში გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პაველის-ძე ბერიას!

დიდება და დღეგრძელობა ჩვენს მასწავლებელსა და ბელადს დიდ სტალინს! **(მჭუხარე ტაში).**

დეკუთვნ ი. პ. ყუჯიაშვილის სიტყვა

(ქ. გორი, სტალინის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1947 წლის შედეგებმა კვლავ გვიჩვენეს საბჭოთა წყობილების უზრუველი ძალა. მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად დიდი წარმატებები მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკამაც.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის დიდი ახალ სიმაღლეზე აჰყავს ორი გიგანტის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ჭიათურის საავტომობილო ქარხნის მშენებლობას.

საყვარელი ბელადის ლენინ-სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სოციალისტური შრომის ახალი ნაყოფი მოიპოვა. ჩვენი საყვარელი ბელადის ლენინ-სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სოციალისტური შრომის ახალი ნაყოფი მოიპოვა. ჩვენი საყვარელი ბელადის ლენინ-სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სოციალისტური შრომის ახალი ნაყოფი მოიპოვა.

ბანკეტი ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალურ საბჭოში

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საგანგ.). გუშინ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალურმა საბჭომ საღამო გამართა შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ელჩის ბანოვსკის პატივსაცემად. საღამოს 600-ზე მეტი სტუმარი დაესწრო. საღამოს ფიქრობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე კორალის ლამონტი.

თავის შესავალ სიტყვაში ლამონტმა აღნიშნა, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა „არასდროს არ ყოფილა ესოდენ ცუდი რუსეთის რევოლუციის პირველი წლების შემდეგ“. ტოდას, როცა ამერიკის ჯარებში 13 სხვა ქვეყნის ჯარისკაცთა ერთად ცდილობდნენ დაეხმარათ ანტიბოლშევიკური ძალების ლაშქრობა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ ინტერვენციის შედეგები ცნობილია ყველასათვის. ლამონტმა აღნიშნა, რომ ამ ინტერვენციის შედეგად ამერიკის მოსახლეობაში ჩამოყალიბდა ბოროტი ლაპარაკი საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ. ამ ცუდისაწყისი ურთიერთობის გამო ამერიკის მოსახლეობის ნაწილი ეჭვით შეხვდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს დაარსების ამბავს. ლამონტმა აღნიშნა, რომ ამ ეჭვის ნაწილი ამ საბჭოს ხელმძღვანელობის ბრალი იყო. ამ საბჭოს ხელმძღვანელობა ზოგჯერ ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რომლებიც ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა